ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№4(96)

აპრილი
2022 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

მეუფე ისაიამ თავდადების მაგალითი უჩვენა ყველას და ასე დარჩება იგი ისტორიაში

„მიფიქრია იმაზეც, ბრძოლის ველზე მეთაური ყველაზე ძნელი დავალების შესასრულებლად ვის გაგზავნიდა და ვის სიცოცხლეს დასდებდა სასწორზე. რა თქმა უნდა, იმას, ვისი განსაკუთრებული ნდობაც ექნებოდა...“

4

საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის თვითშეფასების კითხვარი გადაეცა

11 აპრილს, ქ. ლუქსემბურგში საქართველოს გადმოეცა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის თვითშეფასების კითხვარი, რომლის საფუძველზეც ევროკომისია მოამზადებს საკუთარ შეფასების ანგარიშს (Opinion), ქვეყნისათვის კანდიდატი სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

დასასრული მე-9 გვერდზე

განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ქართული ენისა და ლიტერატურის ღვაწლმოსილ პედაგოგს მარიკა გიგაურს დედაენის დღე მიულოცა

2

ორ თვეზე მეტი რუსეთ-უკრაინის ომიდან — ბუჩას ტრაგედია

სამ თვეზე მეტი გავიდა რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დაწყებიდან. გმირი უკრაინელი ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევს ოკუპანტს. იზრდება საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების მასშტაბიც.

დასასრული მე-9 გვერდზე

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ საქართველოს მხარდამჭერი აქტი დაამტკიცა

„ორპარტიული კანონპროექტი გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებათა დარღვევებს, უკანონო დაკავებებისა და გატაცების ფაქტებს, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების, არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიასა და დავით ბაშარულის მკვლელობებს და ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების წინააღმდეგ სანქციების დაწესების ინიციატივით გამოდის“.

11

დიდება გმირებს!

5

2 აპრილს არჩილ ტატუნაშვილი 39 წლის გახდებოდა

8

გულწრფელად მიყვარს ჩემი მასწავლებლები, არასდროს გავუცრუებ იმედს...

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 33 წელი გავიდა

3

7

როცა დავბრუნდები, ჩემს სიზმარზე დოკუმენტური ფილმი უნდა გადავიღო...

განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ქართული ენისა და ლიტერატურის ღვაწლმოსილ პედაგოგს მარიკა გიგაურს დედაენის დღე მიულოცა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი წეროვნის დევნილთა დასახლებაში ახალგორიდან დევნილ ქართული ენისა და ლიტერატურის ღვაწლმოსილ მასწავლებელს მარიკა გიგაურს შინ ეწვია და დედაენის დღე მიულოცა. 69 წლის უფროსი მასწავლებელი მარიამ გიგაური აგვისტოს ცნობილ მოვლენებამდე ახალგორის N1 სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. 2009 წლიდან კი დიდი ლიახვისა და ქსნის ხეობიდან დევნილ მოსწავლეებს მშობლიურ ენას წეროვნის N3 საჯარო სკოლაში ასწავლის.

ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მარიკა გიგაური მუდამ იმსახურებდა მოსწავლეებისა და კოლეგების სიყვარულს და პატივისცემას კვალიფიციურობით, პროფესიონალიზმით, ჰუმანურობით. ამდენად, მინისტრის ვიზიტი ღვაწლმოსილ პედაგოგთან სწორედ 14 აპრილს მართლაც ზუსტად იყო დამისამართებული.

განათლების მინისტრმა და პედაგოგმა 1978 წლის ცნობილი მოვლენები გაიხსენეს და აღნიშნეს, რომ სწორედ მაშინდელმა საპროტესტო გამოსვლებმა გააჩინა საზოგადოებაში უდიდესი მუხტი, რამაც საბოლოოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოიტანა.

„მარიამ გიგაური, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ლიახვისა და ქსნის ხეობების მოსახლეობას შორის დიდი პატივისცემით სარგებლობს. მომავალ თაობებს იგი არა მხოლოდ მშობლიურ ენას, არამედ მშობლიური კუთხის დიად ისტორიასა და მის სიყვარულს ასწავლის“. – ნათქვამია ინფორმაციაში, რომელიც განათლების სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279

საინფორმაციო შეხვედრა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბურ პროგრამასთან დაკავშირებით, საინფორმაციო სახის შეხვედრა გაიმართა.

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძემ, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, გამგეობისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს კიდევ ერთხელ განუმარტა პროგრამის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ ის პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაიწყო.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი, რეგიონალური სოციალური სამსახურის წარმომადგენელი მაკა ხამხაძე, აგრეთვე, ადგილობრივი სოციალური სამსახურისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. მათ შეკრებილ საზოგადოებას პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს და თემის შესახებ არსებულ შეკითხვებს უპასუხეს. სოფლის რწმუნებულებს კი ბენეფიციარების დროული და სწორი ინფორმირებისკენ მოუწოდეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მხარეები მჭიდრო თანამშრომლობასა და კოორდინირებულ მუშაობაზე შეთანხმდნენ.

აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ფრეზეთში იმყოფებოდნენ

აშშ-ის საელჩოს თავდაცვითი ურთიერთობების ოფისის ორმხრივი ოფიცერი – მაიორი დანიელ სეკულა და მისი ასისტენტი თამარ რურუა, მცხეთა-მთიანეთის მხარის რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძესთან, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან დიმიტრი ზურაბიშვილთან, რეგიონალური ურთიერთობის სამსახურის უფროს რუსუდან ძიძიშვილთან და ახალ-

2 აპრილს არჩილ ტატუნაშვილი 39 წლის გახდებოდა

ახალგორელი არჩილ ტატუნაშვილი, რომელიც საოკუპაციო რეჟიმის სისასტიკემ იმსხვერპლა, 2 აპრილს 39 წლის გახდებოდა.

„არჩილმა ყველაზე ძვირფასი - საკუთარი სიცოცხლე გაიღო სამშობლოსა და ღირსების დასაცავად. თითოეულ ჩვენგანს მუდამ გვემახსოვრება მისი გმირული თავგანწირვა, მის მაგალითზე აღიზრდებიან მომავალი თაობები.

ჩვენ ყველა საერთაშორისო-სამართლებრივ ბერკეტს ვიყენებთ იმისათვის, რომ მართლმსაჯულების წინაშე წარსდგეს ყველა, ვისაც ბრალი მიუძღვის მის სიკვდილში.

ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქესთან ერთად, პატივს მივაგებ დიდი მამულიშვილის ნათელ ხსოვნას.“ – ნათქვამია საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ფეისბუკგვერდზე გამოქვეყნებულ პოსტში, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

2 აპრილს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა დეპარტამენტის უფროსი ზვიად ზვიადაძე მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე იმყოფებოდა.

ზვიად ზვიადაძემ ახალგორის რაიონის გამგებელთან ნუგზარ თინიკაშვილთან ერთად არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას პატივი მიაგო და ეროვნული გმირის საფლავი ყვავილებით შეამკო.

„დღეს ჩვენი დროის გმირის არჩილ ტატუნაშვილის დაბადების დღეა. იგი 39 წლის გახდებოდა. სამწუხაროდ, დამნაშავეები, რომლებმაც მისი სიცოცხლის

ხელყოფაში მიიღეს მონაწილეობა, დღემდე რეალურად დაუსჯელნი არიან.სახელმწიფო მაქსიმალურს აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს, რათა მსგავსი ფაქტები არ განმეორდეს, რათა დასრულდეს ოკუპაცია და რათა სათანადო პასუხი აგონ იმ ადამიანებმა, ვინც ამ უკანონობას სჩადიან. ამ დღეებში ჩვენ ვიხილეთ კიდევ ერთი უკანონობის დადასტურების თუ დამტკიცების მცდელობა, როცა დეფაქტო რეჟიმის და საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ე.წ. რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე გააკეთეს განცხადებები. ჩვენ, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, მსოფლიოს ცივილიზებულ ნაწილთან ერთად, ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ, ამ უკანონობის დასასრულებლად და ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ არჩილ ტატუნაშვილის და ჩვენი გმირების სიცოცხლე, მათი დაღვრილი სისხლი, იქნება საფუძველი, გარანტი იმისა, რომ მომავალში ოკუპაცია აღარასდროს განმეორდება და თაობები გაიზრდებიან ამ გმირობების მაგალითზე. ის თაობები, რომლებიც აუცილებლად დამოუკიდებელ, ერთიან და მშვიდობიან საქართველოში იცხოვრებენ,“ - განაცხადა ზვიად ზვიადაძემ.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებელ ნუგზარ თინიკაშვილთან ერთად ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდნენ, სადაც დაათვალიერეს გასულ წელს აშშ-ის დაფინანსებით მოწყობილი ჭაბურღილი, შეამოწმეს მისი ფუნქციონირება და ეფექტიანობა.

აშშ-ის წარმომადგენლებს მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძემ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა დიმიტრი ზურაბიშვილმა და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა განხორციელებული პროექტების შედეგები დეტალურად გააცნეს და მათ მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 33 წელი გავიდა

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 33 წელი გავიდა. ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სამსხვერპლოზე ზვარაკად შეწირულთა სახელებს მარადიული ხსოვნის სანთელი უნთია ქართველი ხალხის ხსოვნაში.

9 აპრილს ახალგორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ წეროვნის დასახლებაში არსებულ სკვერში, 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკო და პატივი მიაგო თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს.

მეუფე ისაიამ თავდადების მაგალითი უჩვენა ყველას და ასე დარჩება იგი ისტორიაში

ჩვენი დროის გმირი უწოდა სრულიად საქართველომ ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას...

12 აპრილი მისი დაბადების დღეა. ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს, გაზეთ „ახალგორის“ მკითხველების სახელით ვულოცავთ მეუფეს დაბადების დღეს და ვბეჭდავთ პროფესორ სერგო ვარდოსანიძის წერილს, რომელიც სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა.

მიტროპოლიტი ისაია, ერისკაცობაში ზურაბ მირდატის ძე ჭანტურია, დაიბადა 1961 წლის 12 აპრილს ქ. წალენჯიხაში. როგორც თავის მიერ შედგენილ ავტობიოგრაფიაში გვამცნობს: „დედა სკოლა-ინტერნატის დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო. მას ძალიან უყვარდა თავისი საქმე. იცოდა კერვა, ქარგვა, სახლში მის მიერ შეკერილი ფარდები, მაგიდისა და ტახტის გადასაფარებლები გვქონდა... მამამ გვასწავლა ჭადრაკის თამაში, გამოწერილი ჰქონდა ჭადრაკის ჟურნალები, გვირჩევდა საჭადრაკო ეტიუდებს და ჩვენს შორის იმართებოდა ჩემპიონატი... მე-4 კლასამდე ვსწავლობდი წალენჯიხის სკოლა-ინტერნატში, მე-5 კლასიდან - წალენჯიხის პირველ საშუალო სკოლაში. დავიწყე პიონერთა სახლში ხატვის წრეზე სიარული. გავიმარჯვე პიონერთა სასახლეში ჩატარებულ ხატვის კონკურსებში. მერვე კლასში დღის წესრიგში დადგა მოსწავლეების კომკავშირში შესვლა. ეს უკვე ისეთი დროა, როდესაც კომკავშირსა და კომუნისტურ პარტიას ჩვენს თვალში აღარ ჰქონდა ავტორიტეტი. ჩვენ ვხვდებოდით, რომ იქ ადამიანები შედიოდნენ უფრო კარიერისა და თბილი, უზრუნველყოფილი სამსახურისათვის. მე ამაში სიყალბეს ვხედავდი და რადგანაც შემოქმედებითი სამყაროთი ვსულდგმულობდი ასეთი სიყალბე სრულებით მიუღებელი იყო ჩემთვის". რვა კლასის დამთავრების შემდეგ ზურაბ ჭანტურიამ სწავლა განაგრძო მოსე თოიძის სახელობის პროფესიულ ტექნიკუმში. 1982 წელს აბარებდა სამხატვრო აკადემიაში, შემდეგ ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში... ყველგან გულცივობა დახვდა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას... როგორც მეუფე ისაია იხსენებს, "ახლობელმა სამუშაო გამომიძებნა მულტიპიკაციის სტუდიაში, იმ დროს მულტიპიკაციის სტუდიაში მიმდინარეობდა მულტფილმ "ბაბილინა"-ზე მუშაობა, სადაც დამდგმელი მხატვარი იყო ზაალ მეღვინეთუხუცესი. პირველად სწორედ ამ ფილმზე მომიწია მუშაობა - ნახატებს გრაფიკულად ვამუშავებდი. მულტიპიკაციის სტუდიის მხატვრული ხელმძღვანელი გელა კანდელაკი ახალი სასწავლო წლისათვის თეატრალურ ინსტიტუტში აპირებდა მულტიპიკატორების მომზადებას და არჩევდა ახალგაზრდებს მულტიპიკაციის სტუდიისათვის. 1986 წელს შეიძლება ითქვას, ბატონი გელას პირადი მონდომების წყალობით, ჩავირიცხე ინსტიტუტში და გავხდი კინოფაკულტეტის სტუდენტი. ამავე დროს დაემთხვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა... პირველი კურსის დამთავრების შემდეგ, წალენჯიხაში ყოფნის დროს, თბილისიდან ჩამოვიდა ახალგაზრდა კაცი, სახელად ფარნაოზი, მან ჩამოიტანა ხელმოწერებისათვის გამზადებული წერილი, სადაც ხელისუფლებისადმი იყო თხოვნა წალენჯიხის ეკლესიის ამოქმედებისათვის ნებართვის გაცემის შესახებ, ქაღალდზე მხოლოდ ერთი ხელმოწერა იყო, ამ მოთხოვნას ძალმოსილება რომ ჰქონოდა, საჭირო იყო ოცი ადამიანის ხელმოწერა. ამ საქმეში მეც მომიწია მონაწილეობამ. ხელმოწერები შევაგროვეთ და დავგზავნე



დანიშნულებისამებრ ერთი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მეორე - მოსკოვში, მესამე - საქართველოს სსრ რელიგიის საქმეთა რწმუნებულთან, მეოთხე წალენჯიხის რაიკომში. ერთიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის უნდა გამეგზავნა. რჩევა ჩემს ჯგუფელს პაატას ვკითხე (მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილი), რომელიც იმჟამად უკვე ეკლესიის მრევლის წევრი იყო. მან მითხრა, რაღა ფოსტით გავუგზავნოთ წერილი პატრიარქს, წმიდა მეფე თამარის ხსენების დღეს დიდუბეში სწირავს და ეს წერილი იქ მივართვათო. მართლაც მივედით, ხალხმრავლობა იყო, პაატამ მნათეს სთხოვა ჩვენი წერილი გადაეცა პატრიარქისათვის, მან კი გვითხრა ცოტა ხანი დავლოდებოდით. როცა მობრუნდა, გადმოგვცა უწმიდესის დანაბარები, თვითონ გადმომცეს წერილიო. პირველად ვიმყოფებოდი პატრიარქის მსახურებაზე. მაშინ მონათლულიც არ ვიყავი და სახელდახელოდ მასწავლეს, თუ როგორ მოვქცეულიყავი: მუხლი უნდა მომეყარა და ხელზე მთხვევით კურთხევა მიმეღო პატრიარქისაგან, რა თქმა უნდა, მზად ვიყავი ყველაფერი ზედმიწევნით შემესრულებინა, მაგრამ როდესაც საკურთხეველში შემიყვანეს, დავიბენი. საკურთხეველში ტახტზე პატრიარქია დაბრძანებული, მრავალი სასულიერო პირი, სტიქაროსნები, მოკლედ, დაბნეული პირდაპირ პატრიარქისაკენ გავემართე. არ ვიცი, სტიქაროსნებს რა მოეჩვენათ და ხმამაღლა შემომძახეს "დაიჩოქე"! მე, ისედაც დაბნეულს, სულ მთლად გული გამისკდა და დაჩოქების ნაცვლად დავემხე პატრიარქის წინაშე. პატრიარქმა წამომაყენა, ჩამიხუტა, მომასულიერა, რაღაცეები გამომკითხა, წერილი გამომართვა და დამლოცა. საკურთხევლიდან ფრთებშესხმული გამოვედი, უსაზღვრო იყო უწმიდესთან შეხვედრით გამოწვეული სიხარული... ჩემი ნათლობა მამა დავითმა (მიტროპოლიტი დანიელ დათუაშვილი) შეასრულა. მალე მამა დავითი სიონის ტაძრიდან მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს და მრევლის წევრებიც წირვებზე დასასწრებად თბილისიდან მცხეთაში დავდიოდით. იქ გავიცანი მამა გაბრიელი (ურგებაძე). ჩემთვის ეს წლები ძვირფასად მოსაგონარია: სამთავროს დედათა მონასტერში წირვები, სვეტიცხოვლის ტაძარში ჩასვლა, ფარავნის ტბიდან წმიდა ნინოს გზაზე მსვლელობა. ფოკაში დედათა მონასტრის

დაარსების დროს თვენახევარი ფოკას მამათა მონასტერში დარჩენა, შავნაბადას მონასტერში დროდადრო ასვლა. გამიჩნდა სურვილი, მესწავლა სასულიერო აკადემიაში, ვესწრებოდი ლექციებს როგორც თავისუფალი მსმენელი სასულიერო აკადემიის ანთროპოლოგიის ფაკულტეტზე".

1993 წელს ზურაბ ჭანტურია შეიმოსა მორჩილის კაბით ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსის დანიელის ლოცვა-კურთხევით, მაგრამ სულ მალე იქ განვითარებული მოვლენების შემდეგ (ომი, რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია) ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსის სამღვდელოებასთან, დევნილ მოსახლეობასთან ერთად გადალახა საკენი-ჭუბერის უღელტეხილი, 15 სექტემბრიდან იგი ცხუმ-აფხაზეთის სამღვდელოებასთან ერთად დაემკვიდრა მარტყოფის მონასტერში. 1994 წლის 11 აპრილს მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა მორჩილი ზურაბი-ილია სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აღკვეცა ბერად და სახელად ისაია უწოდა. იმავე წლის 24 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერი ისაია აკურთხა ბერ-დიაკვნად, მალევე ბერ-დიაკონი ისაია მცხეთის წმიდა ოლღას დედათა მონასტერში ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად. 1994-1995 წლებში მღვდელმონაზონი ისაია უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ასრულებდა მარტყოფის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას. 1995 წლის თებერვალში მღვდელ-მონაზონ ისაიას ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მიენიჭა იღუმენის წოდება. 1995 წლის 5 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება – აღსდგა უძველესი ეპარქია ნიქოზისა და ცხინვალისა, რომელიც შუა საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში. წმიდა სინოდმა იღუმენი ისაია გამოარჩია ახლადაღდგენილი ეპარქიის საჭეთმპყრობლად. 1995 წლის 9 აპრილს, ღირსი მარიამ ეგვიპტელის ხსენების დღეს, წმიდა სინოდის განჩინების თანახმად, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდა სინოდის წევრი მღვდელმთავრების თანამსახურებით აღასრულა იღუმენ ისაიას ეპისკოპოსად კურთხევის წესი. 8 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში ეპისკოპოსად წარდგინებისას იღუმენმა ისაიამ ასე დაიწყო თავისი გამოსვლა:

„უპირველეს ყოვლისა, ვმადლობ ღმერთს ჩემთვის მონიჭებული წყალობისათვის. შემდგომად ღვთისა გმადლობთ თქვენ, უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო, იმ მამობრივი ზრუნვისა და სიყვარულისათვის, რომელმაც ჯერ ეკლესიაში მომიყვანა, ხოლო შემდეგ ღვთისმსახურების გზაზე დადგომა შემაძლებინა და დღემდე მომიყვანა.

გმადლობთ მეუფენო. მოძღვარნო და ყოველნო მორწმუნენო ჩემი თანადგომისა და გამხნევებისათვის, რომ არა თქვენი სიყვარული, დღეს ალბათ აქ, თქვენ წინაშე, წარდგომას ვერ შევძლებდი.

მონასტერში ცხოვრების მანძილზე განმარტოვებული ცხოვრების სურვილი დამებადა. ჩემი მომავალი ცხოვრება უფრო მყუდრო ადგილას მესახებოდა, ვიდრე

დასასრული მე-6 გვერდზე

მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

წეროვნის დევნილთა დასახლებაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აქტიურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე ასფალტი იგება მე-14 ქუჩაზე, ხოლო მე-15 ქუჩის მოასფალტების სამუშაოები უკვე დასრულდა.

პროექტის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი და მოადგილე გელა შერმადინი. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით,საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ფინანსდება და დარჩენილი ქუჩების მოასფალტება ეტაპობრივად გაგრძელდება.

დასუფთავების აქცია „დედამიწის დღის“ ფარგლებში

ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომის წინა დღეებში, 21 აპრილს, წეროვნის დევნილთა დასახლებაში მოეწყო დასუფთავების აქცია „დედამიწის დღის“ ფარგლებში.

ეს აქცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტარდება ტრადიციულად, ყოველ გააფხულზე, 22 აპრილს.

აქციის ინიციტორი იყო კომუნალური სერვის ცენტრი, ხოლო ორგანიზება გააკეთა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

დასაუფთავების აქციები ზაფხულის განმავლობაში პერიოდულად ჩატარდება სისუფთავისა და გარემოს დაცვის მიზნით.

კომუნალური სერვის ცენტრის თანამშრომლებმა აღდგომის წინა დღეებში ასევე დაასუფთავეს ქანდის სასაფლაო და მისი შემოგარენი.

მეუფე ისაიამ თავდადების მაგალითი უჩვენა ყველას და ასე დარჩება იგი ისტორიაში

მე-5 გვერდიდან

ანტონ მარტყოფელის მონასტერია. განსაკუთრებით ხშირად აფხაზეთზე ვფიქრობდი, მინდოდა იქ როდესაც დაბრუნებას შევძლებდით, რამდენიმე ძმასთან ერთად სადმე სამოღვაწეო - უდაბნო - ადგილას დავმკვიდრებულიყავი, მაგრამ გამოუკვლელ არიან გზანი შენნი. უფალო! მისი ნებით ჩემი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართა.

მიფიქრია იმაზეც, ბრძოლის ველზე მეთაური ყველაზე ძნელი დავალების შესასრულებლად ვის გაგზავნიდა და ვის სიცოცხლეს დასდებდა სასწორზე. რა თქმა უნდა, იმას, ვისი განსაკუთრებული ნდობაც ექნებოდა. დღეს თქვენი მხრიდან, თქვენო უწმიდესობავ, ჩემს მიმართ სწორედ ამგვარი ნდობა იქნა გამომჟღავნებული, რისთვისაც დიდად გმადლობთ.

დღევანდელი დღე ჩემთვის დასასრულია მყუდრო მონასტრული ცხოვრებისა და იმგვარი გზის დასაწყისია, რომელიც ღვთის წინაშე არა მხოლოდ საკუთარ სულზე, არამედ სხვათა სულებზე პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. ამ პასუხისმგებლობაზე დაფიქრებამ არ შეიძლება ადამიანი არ შეაძრწუნოს, მაგრამ ჩემს მღელვარებას თან სიხარულიც ახლავს, თქვენი ნდობით გამოწვეული.

თუმცა ნიქოზისა და ცხინვალის მხარეს კარგად არ ვიცნობ, ეს კი კარგად ვიცი, რომ აქ მსახურება სასულიერო პირისაგან დიდ ძალისხმევას და თავდადებას მოითხოვს... შევეცდები ამ მხარეში ეკლესიური ცხოვრების გაძლიერებას... არსებული კრიზისის დაძლევა ხომ მხოლოდ ჭეშმარიტი სარწმუნოების მეოხებითაა შესაძლებელი.

ბერად აღკვეცისა თუ დიაკვნად და მღვდლად კურთხევისას უწმიდესისაგან სულ ერთსა და იმავე რჩევას ვიღებდი: ახლა უფრო მეტი თავმდაბლობა და მორჩილება გმართებს, რადგან ეს თვისებები, რომელიც ქრისტიანის ძვირფასი სამკაული და სულიერი წარმატების გვირგვინია, ხარისხის პროპორციულად უნდა იზრდებოდეს.

თქვენო უწმიდესობავ, ყოვლადსამღვდელო მეუფენო, მამანო, დედანო, ძმანო და დანო, სულიერ თანადგომას და ლოცვებში მოხსენიებას ვითხოვ თქვენგან, რათა უფალმა ძალა მომცეს ჩემთვის ბოძებული ჯვრის თავმდაბლობით და მორჩილებით ტარებისათვის.”.

ეპარქია, რომელიც მეუფე ისაიამ ჩაიბარა ერთ-ერთი ურთულესია საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ცხინვალის რეგიონში გარე ძალების წაქეზებით მოხდა დაპირისპირება ოსებსა და ქართველებს შორის. მეუფე ისაიას ძალისხმევით ეპარქიაში ამოქმედდა ნიქოზის ამაღლების, ავნევის ღვთისმშობლის შობის, ქურთის ყოვლადწმიდა სამების, ლარგვისის თეოდორე ტირონის, იკოთის ალექსი ბერის სახელობის დედათა მონასტერი, ავლევის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერი. 2000 წლის 28 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ეპისკოპოს ისაიას მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2006 წელს მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა. 2007 წლის 25 დეკემბერს იგი დაჯილდოვდა წმიდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით.

მეუფე ისაია ახალგორელ მრევლთან ერთად ლარგვისში, თეოდორე ტირონის სახელობის მონასტერში.

ფოტო მოგვაწოდა ქეთევან ეპიტაშვილმა

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის რეგულარული ჯარები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და დაიწყეს ქართული სოფლებისა და ქალაქების დაბომბვა, განსაკუთრებით სასტიკად დაიბომბა ცხინვალის ქართული სოფლები: თამარშენი, კეხვი, აჩაბეთი, ქემერტი, ქურთა, გორის სოფლები: ტყვიავი, ნიქოზი... მეუფე ისაიას ერთი წუთითაც არ მიუტოვებია ეპარქია. როგორც იგი იხსენებს: “აქ დარჩენილმა ქართულმა მოსახლეობამ სხვადასხვა სახის განსაცდელი გამოიარა. განსაცდელის პირველი ტალღა იყო, როცა ბრძოლები ჯერ კიდევ ჩვენგან მოშორებით მიმდინარეობდა, როცა გვიშენდნენ ქვემეხებიდან, რაც ფსიქოლოგიურად მძიმე იყო... მერე განსაცდელის ახალი ტალღა მოიწია. გამოჩნდნენ ბომბდამშენები, რომელთა ჭურვებიც აზანზარებდა აქაურობას, ეს შემზარავი სანახაობა იყო... ჩვენ სასწაულებრივად გადავრჩით, წირვის შემდეგ ყველანი ერთად სატრაპეზოში ვისხედით, ჩვენი სატრაპეზო ერთსართულიანი ნაგებობა იყო, მის გვერდით სენაკები გვქონდა. მარტო ამ ადგილას 12 ჭურვია ჩამოვარდნილი... სამონასტრო ნაგებობა მთლიანად დაიწვა, სრულიად განადგურდა ბიბლიოთეკა და არქივი, არ ვიცი, შესაძლებელია თუ არა სადმე მოვიძიოთ ის უნიკალური ფოტოები, რომელნიც აქ იყო დაცული.”

მეუფე ისაიამ ბოლომდე გაიზიარა ეპარქიის მოსახლეობის მძიმე ხვედრი.

...ღრმა ჭრილობები აქვს საქართველოს, ეს ჭრილობები ყველაზე კარგად ჩანს ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიაში, მაგრამ გვწამს ჩვენი ხალხის შეუდრეკელობისა და თავდადებისა, მეუფე ისაიამ ამ თავდადების მაგალითი უჩვენა ყველას და ასე დარჩება იგი ისტორიაში.

„როცა დავბრუნდები, ჩემს სიზმარზე დოკუმენტური ფილმი უნდა გადავიღო...“

2008 წლის აგვისტოს ომმა უამრავი ბავშვი აქცია დევნილად. მათ საკუთარი სოფლები და სახლები ახლაც ახსოვთ. წეროვანში, დევნილთა მხოლოდ ერთ დასახლებაში, ომის შემდეგ ბევრი ბავშვი დაიბადა. არადა, ისინი მამაპაპისეულ სახლებში უნდა გაზრდილიყვნენ. ახლა მათ მხოლოდ გადმოცემით, მონაყოლით იციან სოფლები, რომლებიც ერთმორწმუნე მტერმა, რუსეთმა წაართვა.

19 წლის მარიამ მელთაური ახალგორიდან არის. 2008 წელს 6 წლის იყო, თუმცა კარგად ახსოვს ის პერიოდი, მაშინდელი ემოციები და განცდები დღემდე მოჰყვება...

„2008 წლის 7 აგვისტოს დავტოვეთ ახალგორი, დასასვენებლად წავედით ზღვაზე. 6 წლის ვიყავი... როცა გორი გავიარეთ, მაშინ იბომბებოდა ქალაქი... ყველაფერი რომ დამთავრდა, თბილისში ნათესავთან ჩავედით. გარკვეული პერიოდი კახეთშიც ვიცხოვრეთ. მერე, როცა შედარებით სიტუაცია დალაგდა, ახალგორში დავბრუნდით.

კადრებად მახსოვს ჩვენი პირველი შესვლა ახალგორში. იყო ძალიან დიდი შიში. მამა მაშინ საქართველოში არ იყო. მე, დედა და ჩემი ორი და შევედით... მახსოვს ტანკები, საგუშაგოები, სამხედროები, ძალიან უცხო და საშიში გარემო. გვეშინოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, წასასვლელი არსად გვქონდა. პირველ კლასში იქ, ახალგორის სკოლაში შევედი. მერე იყო ერთი ტრაგედია. სკოლის დარაჯს, ეზოში ნაპოვნი ჭურვი ხელებში აუფეთქდა და ერთი კიდური მთლიანად დაკარგა. ამის შემდეგ მივხვდით, რომ იქ გაჩერება სახიფათო იყო და ახალგორი დავტოვეთ. მერე, როცა წეროვანში ნაუცბადევად აშენდა სოკოებივით ერთნაირი სახლები, აქ დავსახლდით. მოგეხსენებათ, წეროვანში ლიახვისა და ქსნის ხეობის ხალხი ვართ ჩასახლებულები. აქ ერთი ხეც არ იდგა. როცა ნიავი ამოვარდებოდა, ყოველ ჯერზე გვეგონა, რომ სახურავს ახდიდა. ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანებს საერთო ტკივილი და ისტორია გვაერთიანებდა.

პარალელურად, ჩვენს ცხოვრებაში სულ იყო ახალგორი. ომის შემდეგ მოგვცეს საბუთი და პერიოდულად შევდიოდით ჩვენს მიწა-წყალზე. სახლი, რომელიც ომამდე ორი წლით ადრე ჩვენი ახლობელი ოსი ქალბატონისგან შევიძინეთ, წაგვართვეს. იმ ბინაში ისევ ძველი მეპატრონე, ჩვენი ახლობელი ქალბატონი დაეპატრონა. მენატრება ის ურთიერთობები რომელიც იქ, ახალგორში გვქონდა სამეზობლოს, საახლობლოს.

ახალგორში ბოლოს 2019 წლის ზაფხულში ვიყავი. აქედან არც ისე შორს არის. გვქონდა შესაძლებლობა, რომ დილით ჩავსულიყავით და საღამოს უკან დავბრუნებულიყავით. იქ თითქოს სხვა სამყაროა...

სიზმარში ხშირად მინახავს ახალგორი. ჩემი ოცნებაა, როცა დავბრუნდებით ჩვენს სახლებში და ამის იმედი არასდროს დამიკარგავს, მინდა ჩემს სიზმარზე მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი გადავიღო. სიზმარი კი ასეთი იყო: თითქოს ახალგორში დაბრუნების პირველი დღე იყო, კლასელები სკოლის ეზოში ვიყავით შეკრებილები და ერთმანეთს ვეუბნებოდით, რაც გამოვტოვეთ ამ წლები განმავლობაში, ყველაფერი ავინაზღაუროთ-მეთქი. მინდა ეს სიზმარი მალე რეალობად იქცეს.

ორად იყოფა ჩემი ცხოვრება, ომამდე და ომის მერე. მე ვარ ომის შვილი! რაც დრო გადის და ასაკი მემატება, უფრო ვიაზრებ რა გამოვიარეთ და რას გავდივართ. ახლა როცა უკრაინაში ომია, ჩვენს ჭრილობებს გვიახლებს. ეს ყველაფერი ემოციურად ძალიან ძნელია.

მე წეროვანში გავიზარდე და ესეც ჩემი სახლია, მაგრამ როდესაც ვგულისხმობ ნამდვილ ხალხს, ყოველთვის ახალგორს ვგულისხმობ. მგონია, რომ ძალიან მალე ჩვენ ყველანი დავბრუნდებით ჩვენს ნამდვილ სახლებში. სტუდენტი ვარ, ტურიზმის მენეჯმენტს ვეუფლები და მჯერა, როცა იქ დავბრუნდებით, ჩემი პროფესიით ვიმუშავებ. ახალგორში უამრავი ისტორიული ადგილია და მინდა, რომ ეს სფერო განვავითარო.“

„აგვისტოს ომი რომ არ ყოფილიყო, უფრო უდარდელი და ხალისიანი ბავშვობა გვექნებოდა“...

ანანო კახნიაშვილი. 12 წლის: წარმოშობით ლიახვის ხეობიდან, ქურთიდან ვარ, მაგრამ – წეროვანში დაბადებული და გაზრდილი. აქაურობა შეუცვლელია ჩემთვის, მაგრამ რაც გავიზარდე და გავიგე ჩვენი ხეობის შესახებ, აქაურობისა და ლიახვის ხეობის სიყვარული გათანაბრდა.

ფოტოებით, გადმოცემით ვიცი, რომ ორ მთაზე იყო შეფენილი რამდენიმე სოფელი, მათ შორის ჩემი ქურთაც. ალბათ ადვილად წარმოსადგენია, როგორი ლამაზი იქნებოდა გაზაფხულზე ეს სოფლები. პაპას, საშვილიშვილოდ აუშენებია სამ სართულიანი აგურის სახლი. დღეს ყველა სახლი მიწასთან არის გასწორებული. სოფელი ქურთა ჩემს მეხსიერებაში მაინც წარმოსახვაში აწყობილი ულამაზეს წალკოტად დარჩება. რუსეთი სწორედ ამ სილამაზეს დახარბდა, მიიტაცა და დღეს იმ ადგილას აეროდრომს აშენებს.

მართლა არ მესმის, რატომ უნდა მოკლა ამდენი ადამიანი და უფრო მეტი აქციო დევნილად?! მართალია, თვალით არასდროს მინახავს ჩემი ლიახვის ხეობა, მაგრამ მაინც მენატრება და ეს ჩემთვის პირადი ტრაგედიაა. შეიძლება ვიღაცამ თქვას, იქ არასდროს ყოფილა და ასეთი სიყვარულით როგორ უნდა ილაპარაკოსო, მაგრამ ღამით, როცა საკუთარ თავთან ვრჩები, კიდევ ერთხელ ვიაზრებ და ძალიან მტკივა. აგვისტოს ომი რომ არ ყოფილიყო, უფრო უდარდელი და ხალისიანი ბავშვობა გვექნებოდა... ძალიან დიდი სურვილია იმისა, რომ დავბრუნდეთ, თუნდაც მიწის მუშებად.“

წეროვნის მე-3 საჯარო სკოლაში ლექცია „საქართველო და ევროკავშირი“ ჩატარდა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლაში მოსწავლეებისთვის მუდამ საინტერესო შეხვედრები და აქტივობები იმართება.

6 აპრილს, რონდელის ფონდის ორგანიზებით, სკოლაში წეროვნისა და ნიქოზის ხელოვნების სკოლის მოსწავლეებისთვის ლექცია „საქართველო და ევროკავშირი“ ჩატარდა, რომელსაც უძღვებოდა რონდელის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი კახა გოგოლაშვილი.

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ისტორიაზე, აწმყოსა და მომავალზე.

პროექტი დაფინანსებული იყო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ.

გულწრფელად მიყვარს ჩემი მასწავლებლები, არასდროს გავუცრუებ იმედს...

ნანა დემუროვი და დემურ ჯოხაძე ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთიდან არიან. ორი შვილი ჰყავთ – კესო და მართა, ორივე სიბეჯითით გამორჩეული. კესო წელს ოქროს მედალზე ამთავრებს წეროვნის მესამე საჯარო სკოლას. გარდა ამისა, შესანიშნავად მღერის, რის გამოც თიბისის სტიპენდიატიც გახდა.

ეს ლამაზი, მშვიდი, სიყვარულით გაჯერებული ოჯახი ჩვენ გვერდით წეროვნის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს. შესისხლხორცებულან ახალგორელებს და ქალბატონ ნანასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...

კესო ჯოხაძე დედასთან ნანა დემუროვთან ერთად

– ომის შემდეგ, როცა ჩვენი სოფელი ქურთა დავტოვეთ, კესო 3-4 წლის იყო... აქ რომ დავსახლდით, პირველი, რაც გავათვითცნობიერე, ის იყო, რომ ახალგორელები ძალზე თბილი, კომუნიკაბელური და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ინტელექტუალურები არიან. სკოლაში მუშაობა რომ დავიწყე, კოლეგებმა, რომ იტყვიან, გულში ჩამიხუტეს, ისე მიმიღეს, როგორც უკვე კარგად გაცნობილი მეგობარი, – ჩვენ ხომ ერთი სევდა გვაერთიანებს, მშობლიურ ბუდეს მოწყვეტილებს...

ნანასთან საუბრისას კესო მეცადინეობდა, რომ დაასრულა, შემოგვიერთდა.

– კესო, სადაური ხარ?

– ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთიდან.

– ქურთა გახსოვს?

– არა, არ მახსოვს, მაგრამ ვიდეოჩანაწერები გვაქვს და რომ ვუყურებ, რაღაცნაირი თბილი, შორეული მონატრების გრძნობა მეუფლება, არასოდეს ვიტყვი, რომ იქაური არა ვარ... მართალია, ჩვენი სახლი პირისაგან მიწისა აღგვილია, ჩემი ბებო-პაპაც გორში გადასახლდა, ჩვენც აქ ვცხოვრობთ, მაგრამ ჩემი ფესვები იქ არის.

– სკოლას ოქროს მედალზე ამთავრებ. რთული იყო მიზნამდე გასავლელი გზა?

– ძნელი არ იყო, მაგრამ ბევრი შრომა, მეცადინეობა დასჭირდა.

– ნანობ?

– არა, რას ამბობთ, ჩემი ცხოვრების პრიორიტეტი განათლების მიღებაა.

– თქვენს კლასში რამდენი მედალოსანი ხართ?

– სამი: მე, სალომე ლომიძე და გურამ მღებრიშვილი, პარალელურ კლასში – თათია დოლიძე.

– მათ კონკურენტებად აღიქვამ თუ ჩვეულებრივ მეგობრებად...

– ისინი ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან.

– არასოდეს გქონია, დედის მასწავლებლობის გამო სკოლაში, თანაკლასელებთან დისკომფორტი?

– არა. დედა ძალიან სამართლიანი ადამიანია და მე არასდროს არ მქონია რაიმე შეღავათი ან პრივილეგია ამის გამო... მართლა ჩემი შრომით და სისტემატური მეცადინეობით მივაღწიე ყველაფერს.

– ვინ გინდა გამოხვიდე?

– სამედიცინო ექსპერტი...

– რთულად არ გეჩვენება?

– ბევრი რამ გათვალისწინებული მაქვს, მაგრამ ეს ჩემი საყვარელი და სანუკვარი პროფესია იქნება...

– ღმერთმა არ ქნას და რომ ვერ მოეწყო...

– არა, მაგაზე არ ვფიქრობ, აუცილებლად მოვეწყობი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში... უამრავი ფილმი მაქვს ნანახი ექიმის რთულ და საინტერესო ცხოვრებაზე... ჩემს ოცნებას აუცილებლად ავიხდენ...

– სიმღერა როდის დაიწყე?..

– ძალიან პატარას მამღერებდა ბებია, დედაც, მერე ბასტი-ბუბუში მიმიყვანეს და წლების მანძილზე იქ ვმღეროდი. ძალიან სახალისო წლები იყო... მადლიერი ვარ ჩემი მუსიკის მასწავლებლის მაია ქურთაულის, რომელმაც ბევრი რამ განაპირობა ჩემს წარმატებაში. ბევრ ფესტივალში მივიღე მონაწილეობა, სხვადასხვა

საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის თვითშეფასების კითხვარი გადაეცა

პირველი გვერდიდან

კითხვარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ილია დარჩიაშვილს ევროკომისარმა სამეზობლო და გაფართოებისა საკითხებში ოლივერ ვარჰეიმ გადასცა.

ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთებით და დღეს უკვე გაწევრიანების კითხვარის გადმოცემით, საქართველო გადადის თვისობრივად ახალ, ბევრად ამბიციურ და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ეტაპზე ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში.

ეს არის ლოგიკური და ევროკავშირის პროცედურით გათვალისწინებული ნაბიჯი, რაც მოიაზრებს ქვეყნის მზაობის შეფასებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კანონმდებლობის თავსებადობის მიმართულებით.

ევროკავშირისგან გადმოცემული კითხვარის 1-ელი ნაწილი საქართველომ უკვე მოამზადა და მთავრობა ევროკომისიას მას ორშაბათს, 2 მაისს გადასცემს.

„აღნიშნული კითხვარის პირველი ნაწილი მომზადდა ყველა სახელმწიფო უწყების მხრიდან ძალიან აქტიური ჩართულობით... რაც შეეხება ბოლო ნაწილს, სექტორულ ნაწილს, რომელიც უფრო ტექნიკური და სპეციფიკურია, აღნიშნულ დოკუმენტში არის დაახლოებით 2300 კითხვა. ამ დოკუმენტზე მუშაობა დაწყებული აქვს ყველა სახელმწიფო უწყებას, შესაბამისად, დადგენილი ვადები აღნიშნული დოკუმენტის გაზიარების ჩვენს ევროპულ პარტნიორებთან არის 13 მაისი და ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ აღნიშნული კითხვარის ბოლო, რაც შეიძლება მალე დავასრულოთ მუშაობა და გავუზიაროთ ჩვენს ევროპელ პარტნიორებს“, - განაცხადა დარჩიაშვილმა.

კონკურსში ვმონაწილეობდი. სამი წლის წინ თიბისი ბანკის სტიპენდიატი გავხდი და ყოველთვიურად 100 ლარს მირიცხავდნენ, რომ მუსიკალურ კარიერაში კიდევ უფრო განვვითარებულიყავი.

– თქვენს სკოლაში მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობებზე რას იტყვი?..

– პირადად მე, ჩვენი სკოლის მასწავლებლებთან, მათთან ურთიერთობისას თუნდაც საგაკვეთილო პროცესში და თუნდაც სკოლის გარეთ, კომფორტი მქონდა ყოველთვის... გულწრფელად მიყვარს ჩემი მასწავლებლები, არასდროს გავუცრუებ მათ იმედს.

– სიმღერა და თუ მედიცინა?..

– ექიმობა გადასწონის...

– დაასრულე წინადადება: მიყვარს...

– გართობა...

– არ მომწონს...

– გულგრილი ადამიანები

– წყობილებიდან გამოვყავარ...

– ამპარტავნებას...

– რომელი ლიტერატურული გმირი მოგწონს?..

– მეფე გიორგი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენიდან“.

ორ თვეზე მეტი რუსეთ-უკრაინის ომიდან — ბუჩას ტრაგედია

პირველი გვერდიდან

არსებული ინფორმაციით, კიევთან ახლოს მდებარე ქალაქ ბუჩადან რუსეთის შეიარაღებული ძალების გასვლის შემდეგ, უკრაინელთა ცხედრებს ქუჩებსა და გზებზე პოულობდნენ. დაღუპულები მშვიდობიანი მოქალაქეები არიან.

ქალაქის მერის, ანატოლი ფედორუკის თქმით, ბუჩაში ნახეს საერთო სასაფლაო, სადაც 300-მდე ადამიანის ცხედარია ნაპოვნი. მისივე თქმით, რუსები მშ-

ვიდობიან მოსახლეობას არაადამიანური სისასტიკით ექცეოდნენ. გარდაცვლილებს შორის არიან ქალები და 14 წლის ბავშვიც. უკრაინული მხარის ინფორმაციით, ქუჩაში პოულობდნენ ცხედრებს, რომლებსაც დამწვრობის კვალი აღენიშნებოდათ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რუსები ცხედრების დაწვით კვალის დაფარვას ცდილობდნენ. უკრაინელი სამხედროების მტკიცებით, ცხედრების დიდ ნაწილს აღენიშნება წამების კვალი.

„ძნელია, წარმოიდგინო მსოფლიო, სადაც ბუჩას ხოცვა-ჟლეტა არსებობს, მაგრამ აქ არის, ჩვენ მასში ვცხოვრობთ. საქართველოს წარსული ნიშნავს, რომ ვიცით, რას წარმოადგენს ბუჩა — დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ჭრილობა, რომლის შეხორცებას ძალიან დიდი დრო სჭირდება. უკრაინის წინააღმდეგობა არ დამარცხდება, მაგრამ ეს არასოდეს იქნება დავიწყებული“, — წერს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი „ტვიტერზე“.

„ჩვენ მკაცრად ვგმობთ ბუჩაში ხოცვა-ჟლეტას და არაადამიანურობას, რომელიც მიმართულია უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ჩვენ განადგურებული ვართ სასტიკი ბოროტმოქმედების სცენებით. ყველას, ვინც ამ ომის დანაშაულებებში მონაწილეობდა, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. ჩვენ გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ უკრაინელ ხალხს. ჩვენ ვდგავართ უკრაინის გვერდით“, — აღნიშნულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ბუჩას ტრაგედიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელ მსოფლიოში.

ასევე, უმძიმესი მდგომარეობაა ქალაქ მარიუპოლში, სადაც მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს.

რუსეთი უარყოფს ბუჩაში მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობის თაობაზე ბრალდებებს და აცხადებს, რომ ფოტო-ვიდეო კადრები “კიევის რეჟიმის მორიგი სიყალბეა”.

ალათასა, ბალათასა. ღმერთი მოგცემს ბარაქსა...

უამრავი ულამაზესი ტრადიცია და რიტუალი გვაქვს ქართველებს, რომელთაგან ზოგი დავიწყებას მიეცა დროის მსვლელობასთან ერთად. უმრავლესობა, უძველესი ტრადიციებიდან, ბოლშევიკურ-კომუნისტურმა იდეოლოგიამ აკრძალა, რადგან მათი უმეტესობა ქრისტიანობასთან, ღმერთის რწმენასთან ასოცირდებოდა, რელიგიასთან იყო დაკავშირებული.

ეს ტრადიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხში სხვადასხვანაირად ჰქონდა ხალხს შესისხლხორცებული და თავისებურადაც სრულდებოდა.

კომუნისტურმა იდეოლოგიამ ხალხის ხსოვნაში ბოლომდე ვერ ამოძირკვა ისეთი დიდი დღესასწაული, როგორიც არის აღდგომა, მიუხედავად მრავალნაირი ზეწოლისა.

ჭიაკოკონობა

ახალგორის რაიონში უფროს თაობას ახსოვს აღდგომის დღესასწაულთან მიახლოებული ჭიაკოკონობა, რომელიც უძველესი ქართული რიტუალია (ქრისტესშობამდე) და დამყარებულია უძველეს წარმოდგენაზე ცეცხლის, როგორც ავი სულების საწინააღმდეგო და ყოველგვარი უწმინდურებისაგან განმწმენდ ძალაზე.

ჭიაკოკონობას საქართველოს სხვადასხვა კუთხში სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ, მაგრამ ახალგორში და მთის სოფლებში ჭიაკოკონობა აღინიშნებოდა დიდი ხუთშაბათის წინა საღამოს.

რამდენიმე დღით ადრე ძველ საბურავებსაც კი ვაგროვებდით, რომ დიდი ცეცხლი დაგვენთო, ვაგროვებდით გასხლული ვაზის წალამს, ფიჩხს... როგორც კი შებინდდებოდა, თითქმის ყველა ოჯახი თავისი სახლის წინ ანთებდა ჭიაკოკონას. იყო შემთხვევები, როცა უბანში ერთს ანთებდნენ, მაგრამ ძალიან დიდს... ცეცხლის გარშემო იყო ჟრიამული, მხიარულება და რაც ყველაზე მთავარია ცეცხლზე გადახტომა შეძახილით:'„არული კუდიანებსა“, – ნიშნავდა ავი სულებისაგან განწმენდას. ჭიაკოკონას დანთება სახლის წინ და მასზე გადახტომა ძირითადად იმის საწინდარი იყო, კუდიანები (ეშმაკები) ვერავის ავნებდნენ, სახლს ვერ მიეკრებოდნენ ცეცხლის შიშით და დიდი ხუთშაბათის დღე მშვიდობიანად გათენდებოდა.

ჭონა

აღდგომის დღეებში გვქონდა კიდევ ერთი ძალზე ლამაზი და მხიარული ტრადიცია – ჭონა. როცა დღევანდელი კომპიუტერზე მიჯაჭვული თაობა უფროსებს გვეკითხება, როგორ ვერთობოდით, როცა მათი ასაკისანი ვიყავით და ვუამბობთ ამ ტრადიციებზე, ეღიმებათ, მერე'„გუგლავენ“, კითხულობენ უფრო ვრცლად და უამრავი კითხვა უჩნდებათ....

ჭონა უძველესი ქართული ტრადიციაა, რიტუალია, რაც გამოიხატებოდა ლექსის ან სიმღერის შესრულებაში სააღდგომოდ. თუმცა ტექსტი სხვადასხვა ოჯახში სტუმრობისას ექსპრომტად იცვლებოდა.

ბავშვების ჯგუფი გადავიცმევდით უფროსების ტანსაცმელს, რომ მასპინძელს გასჭირვებოდა ჩვენი ცნობა. სახლთან ახლოს მოვეფარებოდით ხეს ან ჭიშკრის კარებს და დავიწყებდით: „ალათასა, ბალათასა, ღმერთი მოგცემს ბარაქასა, ადე, ქალო, კვერცხი მოგვეც...“ და ბოლო ხაზი შეესაბამებოდა ოჯახის რომელიმე წევრის ლოცვას სახელებით, ან თუ ახალშობილი ჰყავდათ, სიმღერით დავულოცავდით.... ბოლოს კი მჭექარედ დავაყოლებდით: „აშენე, აშენეეე“ და ამისთანები. დასაჩუქრება, ძირითადად, წითელი კვერცხებით ხდებოდა. უფრო კეთილი მასპინძელი ტკბილეულითაც, იშვიათად ფულითაც გვაჯილდოებდა, ზოგი – კიდევ იმღერეთო, გვთხოვდა...

ეს რიტუალი აღდგომის მილოცვას ემსახურებოდა. მართალია ყველა ოჯახში იღებებოდა წითლად კვერცხი, მაგრამ საჩუქრად მოცემული მაინც გვიხაროდა... ჭონაზე სიარულს, აღდგომის მილოცვასთან ერთად გართობის, მხიარულების მნიშვნელობაც ჰქონდა.

წითელი კვერცხი

წითელი კვერცხის სააღდგომოდ აუცილებლობა ვერც ათეისტურმა ეპოქამ წაშალა ხალხში. სამწუხაროდ, ისეთი დროც იყო, სასაფლაოზე გასვლა აღდგომას არ ეპატიებოდათ კომუნისტებს და განსაკუთრებით თანამდებობის პირებს, მაგრამ არ მეგულება ახალგორის რაიონში ისეთი თანამდებობის პირი, რომელსაც გულით მაინც არ სჯეროდა აღდგომის აღმატებული დღესასწაულის და ოჯახში წითელი კვერცხის აუცილებლობის.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მართლმადიდებელი სამყარო წელს 24 აპრილს აღნიშნავს. აღდგომის დღესასწაულთანაა დაკავშირებული კვერცხის წითლად შეღებვის ტრადიცია.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში გაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. მაცხოვრის მიმდევარი და მისი ერთგული მარიამ მაგდალინელი საქადაგებლად რომში ჩავიდა. ის ქვეყნის მმართველს იმპერატორ ტიბერიუსს (14-34 წ) წარუდგინეს. არსებობდა ასეთი წესი, ყველა იმპერატორთან წარდგენილს, მისთვის თუნდაც სულ მცირე, რაიმე ძღვენი უნდა მიეტანა. მარიამმა იმპერატორს ძღვნად კვერცხი მიართვა და ახარა: — ქრისტე აღდგა! „ამის დაჯერება ისევე ძნელია, როგორც ამ კვერცხის გაწითლება”, — ჩაიღიმა იმპერატორმა და სიტყვა არც ჰქონდა დასრულებული, რომ კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა.

გაოცებულ ტიბერიუსს მარიამმა მოუთხრო იესო

სიდო

– სიდო ბებო, დედამ სააღდგომო კვერცხებიო! – ვეუბნები მეზობელ მოხუც ქალს, თან მუჭში მოკეცილ ხუთმანეთიანს ვუწვდი.

– შვილო, თვლა რომ არ ვიცი, რამდენი გინდა?

– სიდო ბაბო, აბა შენ ქათმებს როგორ ითვლი?

– ჭრელი, ჭრელი, შავი, შავი, შავი, წითელი... – აგრძელებს სიდო ბაბო ფერების მიხედვით ქათმების თვლას, მე კი თითებზე ვითვლი. ორმოცი ქათამი გამოვიდა.

– სიდო ბებო, ორმოცი ქათამი გყავს, იცოდე!

– კარგი, შვილო, დავიმახსოვრებ, – მეუბნება და სიცილნარევი სიყვარულით შემომყურებს. საოცარი სიცილი იცოდა, თვალებს მთლიანად მოჭუტავდა და ჩაწიკწიკებულ კბილებს გამოაჩენდა. სათნო ქალი იყო, ყველას უყვარდა სოფელში. ქმარი სამამულო ომში დაეკარგა, შვილები კი ხორველამ დაუხოცა. სიკეთე და მადლი მაინც ბოლომდე შერჩა. სოფლის მაღაზიაში მუშაობდა დამლაგებლად. მას „ფართუკზე“ ჯიბე არ ეკერა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დალაგებისას კანფეტს და სხვა ტკბილეულობას არ მოიპარავდა...

ასე ფიქრობდნენ მაღაზიაში მომუშავე შტურმანა ლენტო და ცორიკე გოგია (ზედმეტი სახელებია მათი).

– აჰა, შვილო, აიღე, ვერ დავთვლი, სულ წაიღე, რაც ამ ბადიაშია. არც ფული არ მინდა! – მომაწოდა ოცდაათამდე კვერცხი.

ღმერთო ჩემო, რატომ არ უნდა ჰკერებოდა წინსაფარზე სიდო ბებოს ორი დიდი ჯიბე? ის ხომ მაინც არაფერს მოიპარავდა?

ახლა, აღდგომის წინა დღეს, თვალწინ დამიდგა სიდო ბებო, ტანმორჩილი ქალი, იღლიაში ცოცხით და პატიოსანი ღიმილით, მაღაზიაში მიმავალი... რომელსაც სოფლელებისათვის უფასოდ სააღდგომო კვერცხები ყოველთვის ჰქონდა.

ლელა ზარიძე
22 აპრილი. 2022

ქრისტეს ცხოვრებაზე, ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომაზე. კვერცხი ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. ეს მოვლენა გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა სიმბოლურად ერთმანეთისთვის წითელი კვერცხით მიელოცათ. კვერცხის შეღებვის ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება.

ტრადიციის თანახმად, სააღდგომო კვერცხები წითლად, წითელ პარასკევს მზის ჩასვლამდე იღებება.

წითელი პარასკევი ყველაზე მძიმე დღეა წლის განმავლობაში. ამ დღეს მოხდა ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ საქართველოს მხარდამჭერი აქტი დაამტკიცა

2022 წლის 27 აპრილს, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა „საქართველოს მხარდამჭერი აქტი“, რომელიც საკანონმდებლო დონეზე ამყარებს ქვეყნებს შორის არსებულ მტკიცე სტრატეგიულ პარტნიორობას. აღნიშნული კანონპროექტი საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე კონგრესმენებმა, ჯერი კონოლიმ (დემოკრატი) და ადამ კინზინგერმა (რესპუბლიკელი) 2021 წლის 8 თებერვალს წარმომადგენელთა პალატაში ხელახლა წარადგინეს.

კანონპროექტს ამ ეტაპზე სულ 19 თანასპონსორი ჰყავს, როგორც დემოკრატიული, ასევე, რესპუბლიკური პარტიიდან.

„საქართველოს მხარდამჭერი აქტი“ ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც ნატო-ს ასპირანტი ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერას, ასევე საქართველოს მოქალაქეების უფლებას თავად განსაზღვრონ ქვეყნის მომავალი და ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, სხვა ქვეყნების მხრიდან ჩარევისა თუ იძულების გარეშე.

ორპარტიული კანონპროექტი გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებათა დარღვევებს, უკანონო დაკავებებისა და გატაცების ფაქტებს, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების, არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიასა და დავით ბაშარულის მკვლელობებს და ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების წინააღმდეგ სანქციების დაწესების ინიციატივით გამოდის. კანონპროექტი მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, სრულად შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება, ასევე მხარს უჭერს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების შექმნასა და საკუთარ სახლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას.

კანონპროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აშშ-საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობასა და საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და ამ მიმართულებით სახელმწიფო მდივანს, შესაბამის უწყებებთან ერთად საქართველოსთან თანამშრომლობის მომავალი ხუთი წლის სტრატეგიის წარდგენას ავალებს.

კანონპროექტი ასევე მოუწოდებს აშშ-ს ადმინისტრაციას ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ რუსეთის დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან ბრძოლაში საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

როგორც შემდგომი ნაბიჯი, პროცედურულად, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ უკვე დამტკიცებული საკანონმდებლო აქტის პროექტი აშშ-ის სენატს გადაეგზავნება. სენატის შესაბამისი კომიტეტებისა და სენატის პლენარულ სესიაზე კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში კი აშშ-ის პრეზიდენტს გაეგზავნება და ხელმოწერის შემთხვევაში საქართველოს მხარდამჭერი აქტი კანონის ძალას შეიძენს.

ახალგორელი კაპიტანი

ვაკო შერმადინი წეროვნის მესამე საჯარო სკოლას ამთავრებს. ადრეულ ასაკში შენიშნეს მშობლებმა ფეხბურთით გატაცება. 11 წლიდან უკვე სერიოზული ვარჯიშიც დაიწყო ამ ულამაზეს სპორტზე უზომოდ შეყვარებულმა ბიჭმა. ვაკო ახლახან 18 წლის შესრულდა, მაგრამ 19-წლიანებთან თამაშობს, „ლოკომოტივის“ აკადემიის გუნდის კაპიტანია. გამოირჩევა სისწრაფით, აქვს გადაწყვეტილების მიღების უტყუარი ალღო და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ფეხბურთელად არის დაბადებული. მომავალ პროფესიასაც ფეხბურთს, სპორტს დაუკავშირებს.

ახლახან გუნდს შეხვედრები ჰქონდა გორსა და ზუგდიდში, სადანაც გამარჯვებულები დაბრუნდნენ. ვაკო ხალისიანი, გულთბილი და მეგობრების მოყვარულია. გატანილი გოლები, გუნდის გამარჯვებები, წარმატებები სპორტში ახარებს, ახალისებს, მეტის მისაღწევად განაწყობს. თავისი სისტემატური ვარჯიშით, შრომით, მიზანდასახულობით, წარმატებით ახარებს ოჯახს, სკოლას, გულშემატკივრებს.

არენასა და სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის საჩუქარი

სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდმა წეროვნის N3 საჯარო სკოლა დაასაჩუქრა – სკოლაში პირველად მოეწყო მაგიდის ჩოგბურთის სივრცე. საჩუქრად სასწავლო დაწესებულებას მაგიდებთან ერთად ჩოგნები და ბურთები გადაეცა. ასევე კრივის ინვენტარი, ფრენბურთისა და ფეხბურთის ბურთები.

22 აპრილი – დედამიწის დღე

ყოველწლიურად 22 აპრილს, დედამიწის დღე აღინიშნება! ეს დღე 1970 წელს დაფუძნდა, რითაც საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების მორიგ იდეას.

სუფთა და ჯანსაღი გარემოსთვის ბრძოლა ყოველდღიურად უფრო აქტუალური ხდება, რადგან კლიმატის ცვლილებები ყოველდღიურად უფრო და უფრო აშკარა ხდება. ცნობიერების ზრდასთან ერთად იზრდება სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაციაც, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოში კლიმატის ცვლილებას ერთიანად აპროტესტებს. 22 აპრილი ამ თვალსაზრისით გამორჩეული თარიღია.

დედამიწის დღე საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი საერო სადღესასწაულო ღონისძიება, რომელსაც სხვადასხვა კუთხეში ყოველწლიურად მილიარდზე მეტი ადამიანი აღნიშნავს. ეს დღე ატარებს იდეას, რომელიც ემსახურება გლობალური, ეროვნული თუ ადგილობრივი პოლიტიკის ცვლილებას პლანეტის სასიკეთოდ.

კავშირი, რომელიც ბუნებასთან, მცენარეებთან და მიწასთან გვაქვს, ჩვენი ჯანმრთელობისა და არსებობის განუყოფელი ნაწილია. დედამიწის დღე შეგვახსენებს, რომ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს პლანეტაზე - იქნება ეს ნაგვის გაწმენდა, მეტი ხის დარგვა, გადამუშავება და გადაკეთება, თუ გარეულ ყვავილების ფონზე მწვანე სივრცეში გასეირნება. ჩვენ ყოველი ჩვენი მოქმედებით შეგვიძლია დადებითი გავლენა ვიქონიოთ ამ პროცესზე.

წეროვნის მესამე საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეებმა სიამოვნებით მოისმინეს პედაგოგის ნანა გიგაურის გაკვეთილი ამ დღის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ და ლამაზი ნახატებიც მიუძღვნეს.